თბილისი – 2014

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის (ყოფილი ქერჩის) №10-ში მდებარე საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობაზე

ქ. თბილისი 2014 წლის 07 აპრილი

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. "ჰექსასტყლის"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ.

– პროექტის მთავარი კონსტრუქტორი თ. ბუსკივაძე

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია ექსპერტის, ინჟინერ-კონსტრუქტორ რ. აფხაძის მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის (ყოფილი ქერჩის) №10-ში მდებარე (მიწის ნაკვეთის №26/74) საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია-გაფართოება.

შენობა კარკასულია. მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ლითონის ინდივიდუალური კარკასი, ხისტი კვანძებით სვეტებსა და კოჭებს შორის. შენობა ერთსართულიანია და მისი მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 6,96 მ-ია. საძირკვლები წერტილოვანია და შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. არსებული შენობა შედგება ორი, ერთმანეთისგან ტემპერატურული ნაკერით გამოყოფილი ნაკვეთურებისგან. პირველი ნაკვეთურის ("1-4" და "ა-ე" ღერძებს შორის) გაბარიტული ზომებია 36,0X54,0 მ. (ღერძებს შორის), ხოლო მეორე ნაკვეთურის ("4[1]-10" და "გ-ე" ღერძებს შორის) გაბარიტული ზომებია 30,0X60,0 მ. (ღერძებს შორის). რეკონსტრუქციის პროექტის თანახმად გათვალისწინებულია მიშენაბა "4[1]-7" და "ა-გ" ღერძებს შორის, რომლის საანგარიშო საქმა ანალოგიურია არსებულისა.

მიშენებული შენობის სივრცითი სისტემა გაანგარიშებულია დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე სამშენებლო ნორმებისა და წესების – "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ს შესაბამისად. ძალვები მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში, სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით, გაანგარიშებულია შ.პ.ს. "კონექსი"-ში, ლიცენზირებული და სერთიფიცირებული "Lira-9.6" (გასაღების ნომერი №94037224) კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის მეშვეობით. რეკონსტრუქციის შემდეგ საანგარიშო სქემამ განიცადა ცვლილება, "4[1]-7" ღერძებს შორის, "გ"-ღერძზე მდებარე განაპირა სვეტები, რომლებიც განიცდიდნენ მღუნავი მომენტების ზემოქმედებას, გადაიქცევიან შუა სვეტებად, რომლებზეც მღუნავი მომენტების მოქმედება მკვეთრად შემცირდა, და თითქმის

მიუახლოვდნენ ცენტრალურად შეკუმშული სვეტების კატეგორიას, რის გამოც ადრე შერჩეული კვეთის მზიდუნარიანობა საკმარისია რეკონსტრუქციის შემდეგ მასზე ადძრული ძალვების მიმართ და მითითებული სვეტები არ საჭიროებენ რაიმე სახის გაძლიერებას. ახალი, მიშენებული ნაწილი არ გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას არსებული შენობის კონსტრუქციულ ელემენტებში.

პროექტის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალა შესრულებულია დამაკმაყოფილებელი სისრულით.

ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ "ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის (ყოფილი ქერჩის) №10-ში მდებარე (მიწის ნაკვეთის №26/74) საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტს მიეცეს რეკომენდაცია "მშენებლობის დაწყების ნებართვის" მისაღებად.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე (პ/ნ 01003019723)
07.04.2014